ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3369465

ნომერი: AR1515181

თარიღი : 17.06.2017

გაცემის თარიღი : 03.07.2017

გაცნობის თარიღი : 03.07.2017

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი , ქუჩა ახვლედიანი , N 26 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი , ქუჩა ახვლედიანი , N 26 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯამრიშვილი პ/ნ 01009002919
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ. 20 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,გ ქვეპუნქტის და მე-6 ნაწილის, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ღობის, ჭიშკრისა და კარის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, დასახლება ორხევი, ქუჩა ახვლედიანის #26 მიმდებარედ/ ქ. თბილისი, დასახლება ორხევი, ქუჩა ახვლედიანის #26, შ.პ.ს. "ბუმბა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (N 01.19.10.040.060), I კლასის ღობის, ჭიშკრისა და კარის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რეგისტრაციის N 882017483294 08/06/2017 წ., საკადასტრო კოდი N 01.19.10.040.060, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, დასახლება ორხევი, ქუჩა ახვლედიანის #26 მიმდებარედ/ ქ. თბილისი, დასახლება ორხევი, ქუჩა ახვლედიანის #26, შ.პ.ს. "ბუმბა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (N 01.19.10.040.060), I კლასის ღობის, ჭიშკრისა და კარის მოწყობას
იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით , რომ წერილობითი თანხმობის გაცემიდან ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს განახლებული ამონაწერი შეზღუდული სარგებლობის (სერვიტუტის) მოხსნის შესახებ ან წარმოადგინოს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ ერთი თვის ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული გადაწყვეტილება გამოცხადდება ძალადაკარგულად

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.